

მუზეუმი როგორც საგანმანათლებლო სივრცე (ქართული სინამდვილე)

აბსტრაქტი

საკვლევი თემა ეხება თანამედროვე ეტაპზე მუზეუმის აღქმას, თუ როგორაა გაცნობიერებული მუზეუმების როლი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში, მისი გავლენა საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკურ ღირებულებებსა და განათლებაზე. შესაბამისად ნაშრომში განხილული მთელი რიგი წარმოდგენილი მასალებით ცხადი ხდება რომ თანამედროვე პროგრესული მსოფლიოსთვის მუზეუმები სულ უფრო მეტად აღიქმება არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის საცავად, არამედ საგანმანათლებლო სივრცედაც, რომელიც შემოქმედებითი უნარების, ისტორიისა და კულტურული ცნობიერების განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. თანამედროვე მსოფლიოში, საკითხზე მსჯელობის გააქტიურებას (გამოცდილების მიუხედავად) ბუნებრივია საქართველოშიც მოჰყვა ფართო მსჯელობა/განხილვა, მითუმეტეს ქართულ სინამდვილეშიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში და მანამდეც საკითხი არაერთგზის ყოფილა განსჯის საგანი. შესაბამისად, როგორც საერთაშორისო გამოცდილების, ისე ადგილობრივ დონეზე არსებული ვითარებაში მუზეუმების, როგორც საგანმანათლებლო სივრცეების შესწავლა/ანალიზი არა ერთმხრივ საჭირო და აქტუალური საკითხია. საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, რომ მუზეუმები წარმატებით იყენებენ ინტერაქტიულ მეთოდებს, ციფრულ ტექნოლოგიებსა და მთელ რიგ პროგრამებს სხვადასხვა ასაკისა და სოციალური ჯგუფისთვის, ეს პროცესი კი მუზეუმს წარმოადგენს უკვე ღია სასწავლო გარემოდაც, სადაც სწავლა დაკავშირებულია გამოცდი-

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, მკვლევარი.

ლებასთან, დიალოგთან და კულტურულ მრავალფეროვნებასთან. შესაბამისად, ჩვენს მიერ საკვლევად შერჩეული თემის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც განათლების თანამედროვე მიდგომების გააზრების, ისე საქართველოს სამუზეუმო პრაქტიკის საერთაშორისო კონტექსტში განხილვისათვისაც.

საინტერესოა, რომ 1977 წლიდან (18 მაისი) მოყოლებული, მუზეუმების საერთაშორისო საბჭო (ICOM) ყოველწლიურად აწყობს მუზეუმის საერთაშორისო დღეს, რომლის მიზანია კულტურული გაცვლის, კულტურების გამდიდრების და ურთიერთგაგების, თანამშრომლობისა და ხალხთა შორის მშვიდობის განვითარების მნიშვნელოვანი საშუალება. ჩვენი კვლევის მიმართულებით კი აღსანიშნავია, რომ 2024 წელს მუზეუმის საერთაშორისო დღის თემა ცოდნის გავრცელება იყო - “მუზეუმები განათლებისა და კვლევისათვის” და მიზნად ისახავდა საზოგადოების განვითარებაში მუზეუმების, როგორც დინამიური საგანმანათლებლო დაწესებულებების მნიშვნელობის ხაზგასმას (international council of museums, 2024).

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, შეისწავლოს და წარმოადგინოს საქართველოში არსებული რეალობა, თუ როგორაა წარმოდგენილი მუზეუმის საგანმანათლებლო როლის და ფუნქციის გააზრება. მისი მნიშვნელობის გავლენა თანამედროვე განათლების სისტემაში, თუ როგორ ხდება მუზეუმი ხელშემწყობი ინსტრუმენტი ცოდნის, კულტურათა დიალოგისა და ინკლუზიური განათლებისათვის. ამასთან, პასუხი გასცეს კითხვას: საქართველოში როგორ არის მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობა, ჩართული და რამდენად ეფექტურია მუზეუმების მნიშვნელობა და როლი საზოგადოების განვითარებაში, კერძოდ, რა გავლენას ახდენენ განათლებაზე, სკოლებისა და უფრო მაღალი საფეხურის საგანმანათლებლო სივრცის ახალგაზრდებისთვის სასწავლო მასალების/საშუალებების მიწოდებაზე.

ნაშრომის **ამოცანა** საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე მუზეუმის საგანმანათლებლო მოდელის შესწავლა, სამუზეუმო სივრცეებში გამოყენებული მეთოდების და ტექნოლოგიების ანალიზი, საერთაშორისო მაგალითების იდენტიფიცირებით, საქართველოში არსებული კულტურული ცნობიერებისა და სოციალური ჩართულობის განვითარების განსაზღვრა.

კვლევის მეთოდებიდან ნაშრომში, საკითხის შესასწავლად, ანალიზისათვის, გამოყენებულია - ისტორიზმის (დროში არსებული ვითარების გათვალისწინებით კონტექსტის განხილვა/ანალიზი); შედარებითი (სხვა ქვეყნების გამოცდილების მაგალითები და საქართველოში არსებული რეალობა) და ასევე აღწერითი მეთოდები (მოძიებული/შესწავლილი მასალების, პირველადი და მეორადი წყაროების საფუძველზე).

საყურადღებოდ მივიჩნიეთ, ნაშრომში **დასმული პრობლემის** ირგვლივ არსებული რამდენიმე მიდგომის გამოყოფა, უცხოელი და ადგილობრივი სამეცნიერო სივრცის წარმომადგენლების მოსაზრებების ფონზე. კერძოდ თავისი კულტურული მემკვიდრეობის ფართო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სასურველია აღინიშნოს ათენის უნივერსიტეტის განათლების ისტორიის მუზეუმის მაგალითი, სადაც ნათელია (როგორც მკვლევართა ნაწილი აღნიშნავს) რომ სწავლისა და პროფესიული მუშაობის პერიოდიდან, მუზეუმი ცდილობდა სტუდენტების ყველა ინტერესის, სწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებას, ასეთივე დამოკიდებულება იყო იმათ მიმართაც, ვინც საბერძნეთში მაგისტრატურაში, ან დაწყებითი თუ საშუალო სკოლაში სწავლობენ. რადგან მიღებულია, რომ მუზეუმები წარმოადგენენ კულტურისა და მემკვიდრეობის კონსერვაციის, შესწავლისა და რეფლექსიის ცენტრებს. მუზეუმის კონტექსტში, ობიექტები წარმოდგენილია ვიზიტორებისთვის არა მხოლოდ არტეფაქტების, არამედ კულტურული მნიშვნელობის მქონე ობიექტების სახით. მუზეუმები წარმოდგენილია, როგორც სივრცეები, რომლე-

ბიც პასუხისმგებელნი არიან არა მხოლოდ არტეფაქტების შენარჩუნებაზე, არამედ განათლების სივრცეებად უზრუნველყოფაზეც. ამასთან, ორიენტირებულნი არიან განათლებასთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე, მას ადვილად შეუძლია უზრუნველყოს მასალა როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი მიზნებისთვის მრავალი უნივერსიტეტის სტუდენტისთვის. აღნიშნული, საინტერესოა, იმიტაც, რომ ათენის უნივერსიტეტის განათლების ისტორიის მუზეუმში სწავლისა და პროფესიული მუშაობის პერიოდიდან გამოცდილებას ეფუძნება (Geladaki, Papadimitriou, 2014)).

მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ სკოლები და მუზეუმები ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ინდივიდუალური და კოლექტიური სწავლების საკვანძო სივრცეებია, მათი მეშვეობით, ცოდნით საშუალება გვეძლევა განვავითაროთ იდეა, რომ ჩვენ საზოგადოების ნაწილი ვართ. სამყაროსთან ურთიერთქმედებით, აღვნიშნავთ, რომ საერთოდ ყველა კოლექტიური ისტორიის ნაწილია, ისევე როგორც ინდივიდები პირადი ისტორიით. ამ იდეის გაგება ფუნდამენტურია მოსწავლეებისთვის და, შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადრეული ბავშვობის განათლებაში, რაც უყალიბებს ბავშვებს თანაგრძნობისა და საზოგადოების განცდის გრძნობას. ამიტომ, სკოლებმა მემკვიდრეობის შესახებ განათლებით ადრეული ბავშვობიდანვე უნდა მოამზადონ მოსწავლეები მუზეუმებში ვიზიტით. ამით ჩამოყალიბდება ემოციური კავშირები გარშემო არსებულ სივრცეებთან, ეს იქნება ხელშეწყობა კრიტიკული, მოაზროვნე მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი მუზეუმებსა და სკოლებს შორის თანამშრომლობის დამყარება. ერთობლივი პროგრამების შემუშავება და ისეთი მიდგომების უზრუნველყოფა, რომლებიც საინტერესოს და მიმზიდველს გახდის ორმხრივად მუშაობას. ამ მხრივ საჭიროა აღინიშნოს რეჯო ემილიას (RE) პედაგოგიური მოდელის და-

ნერგვა, სკოლებსა და მუზეუმებს შორის პარტნიორობისათვის. მოდელს შეუძლია იმოქმედოს როგორც ხიდი სკოლებისა და მუზეუმების საგანმანათლებლო მიზნებს შორის, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო ინოვაციას. მეტიც, მუზეუმების საგანმანათლებლო როლი შეიძლება გადამწყვეტი იყოს დიალოგისა და მონაწილეობის წახალისებაში კრიტიკული და სოციალური უნარების განვითარების ხელშესაწყობად (Feliu-Torruella, Fernández-Santín, Atenas, 2021).

მნიშვნელოვანია, რომ მუზეუმებს განსაკუთრებულ დანიშნულებას სძენს, თანამედროვე ეტაპზე, ინტერდისციპლინარულ სასწავლო სივრცეებად განხილვაც (Lu, Yuxi, 2025).

განსაკუთრებით აღნიშვნას საჭიროებს საგანმანათლებლო მუზეუმები, რომლებიც ღირებული ინსტიტუტებია და გადამწყვეტ როლს ასრულებენ სწავლის ხელშეწყობაში, საგანმანათლებლო გამოცდილების გაუმჯობესებასა და სხვადასხვა საგნის უფრო ღრმა გაგების ხელშეწყობაში. ისინი გვთავაზობენ უნიკალურ შესაძლებლობებს პრაქტიკული სწავლისა და ინტერაქტიული გამოცდილებისთვის. საგანმანათლებლო მუზეუმები ქმნიან გარემოს, რომელიც ხელს უწყობს კვლევას, კრიტიკულ აზროვნებას და აქტიურ მონაწილეობას. გარდა ამისა, საგანმანათლებლო მუზეუმები ცოდნისა და კულტურული მემკვიდრეობის საცავებად გვევლინებიან. ისინი აგროვებენ, ინახავენ და გამოჟენენ არტეფაქტებს, ხელოვნების ნიმუშებს და ისტორიულ დოკუმენტებს, რომლებიც ასახავს ადამიანური ცივილიზაციის სხვადასხვა ასპექტს. ეს კი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დაუკავშირდნენ ისტორიას, ხელოვნებას, მეცნიერებას და სხვა მიმართულებებს. საგანმანათლებლო მუზეუმები ასევე კვლევისა და ინოვაციების ცენტრებს წარმოადგენენ. ისინი ხელს უწყობენ სამეცნიერო კვლევას, ხელს უწყობენ ცოდნის განვითარებას სხვადასხვა დისციპლინაში. მკვლევრებს, მეცნიერებს და სტუდენტებს აქვთ წვდომა მუზეუმის კოლექციებზე, არქივებსა და რესურსებზე კვლევის ჩასატარებლად, სხვადასხვა სფეროს შე-

სახებ ინფორმაციის მისაღებად. გარდა ამისა, საგანმანათლებლო მუზეუმები ხელს უწყობენ ინტერდისციპლინურ სწავლებას. ისინი იძლევიან შესაძლებლობას, შეისწავლონ სხვადასხვა საგნებს შორის კავშირები. საგანმანათლებლო მუზეუმები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განათლების განვითარებაში. ინტერაქტიული სასწავლო გამოცდილების შეთავაზებით, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებით, კვლევისა და ინოვაციების ხელშეწყობით, ინტერდისციპლინური სწავლების ხელშეწყობით და საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებით (Abd El Wareath, 2022).

აღსანიშნავია საქართველოში თბილისის პედაგოგიური მუზეუმის არსებობა, რომელიც კავკასიის პედაგოგიური მუზეუმის ბაზაზე დაარსდა (1903 წ), რომელიც იყო მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, სასწავლო-საჩვენებელი დაწესებულება. საინტერესოა, რომ 1918 წ-ის სექტემბერში განათლების მინისტრმა გ. ლასხიშვილმა მთავრობას წარუდგინა გეგმა თბილისში ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის გახსნის შესახებ. სადნათქვამი იყო, რომ მუზეუმს უნდა დაეჭირა დიდი ადგილი სახალხო განათლების სფეროში და უნდა დაახლოვებოდა ეროვნული სკოლის ინტერესებს. ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომელიც იმხანად სამინისტროს მიერ მუზეუმის რევიზიას ხელმძღვანელობდა აღნიშნავდა, რომ მუზეუმი წარმოადგენდა ძვირფას განძს საქართველოში სწავლა-განათლებისათვის და განსაკუთრებული ყურადღებას იმსახურებდა, მით უმეტეს „იმ დროს, როდესაც ქვეყანაში განათლების ახალ სისტემას ეყრებოდა საფუძველი და ქვეყანა თითქმის მოწყვეტილი იყო გარესამყაროს“ (ჭუმბურიძე, 2018).

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში კამათს არ იწვევს, რომ ნებისმიერი საკითხის სრულად გასააზრებლად საჭიროა ყურადღება მივაქციოთ თანამედროვე სწავლის სხვადასხვა სტილის არსებობას, რომელთაგან ზოგიერთი არათუ შეესაბამება, არამედ დადებითად მოქმედებს და ზრდის კიდეც სწავლის ხარისხს. კერძოდ, მა-

სალის ათვისებისა და შემეცნების სხვადასხვა საშუალებით ნამდვილად იზრდება: შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, სმენასთან ერთად ვიზუალური აღქმა, ძლიერი მიმზიდველი და ეფექტური გარემო, რასაც სამუზეუმო სივრცე ქმნის (ბოჭორიშვილი, 2014).

ნაშრომის **დასკვნის** ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მასალებით, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კვლევების საფუძველზე, დასტურდება, რომ დასაბუთებულია მუზეუმების საგანმანათლებლო როლი, რომ ფაქტობრივად მუზეუმების საგანმანათლებლო როლის ხასიათი და მასშტაბი მნიშვნელოვნად შეიცვალა. მთელს მსოფლიოში მუზეუმებში განათლების მისაწოდებლად ახალი შესაძლებლობებისა და სტრუქტურების აღმოცენებასთან ერთად მუზეუმების საგანმანათლებლო როლს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ფაქტია, რომ სამუზეუმო განათლება უფრო ფართო მასშტაბს, ახალ მნიშვნელობას იძენს. ამასთან, საგანმანათლებლო მუზეუმების უნიკალური რესურსებისა და ექსპონატების გამოყენებით, პედაგოგებს შეუძლიათ გააუმჯობესონ მოსწავლეთა სასწავლო პროცესი, გააღვივონ სწავლის სიყვარული და შთააგონონ მათ ცოდნისკენ მისწრაფება მთელი ცხოვრების მანძილზე.

საკვანძო სიტყვები: მუზეუმი, საერთაშორისო პრაქტიკა, გამოფენა, განათლება, ექსპონატი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბოჭორიშვილი მ., – „დიფერენციაციის თეორიის რამდენიმე ასპექტი“. 16. 05. 2014წ. <https://www.academia.edu/29307671/> დიფერენციაციის_თეორიის_რამდენიმე_ასპექტი

ჭუმბურიძე დ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.

Abd El Wareath, O. (2022). The role of educational museums in the development of education. *International Journal of Humanities and Language Research*, 5(1), 36-48.

Feliu-Torruella, M., Fernández-Santín, M., & Atenas, J. (2021). Building relationships between museums and schools: Reggio Emilia as a bridge to educate children about heritage. *Sustainability*, 13(7), 3713.

Geladaki, S., & Papadimitriou, G. (2014). University museums as spaces of education: the case of the history of education museum at the University of Athens. *Procedia-Social and Behavioral Sciences*, 147, 300-306.

Lu, W., & Yuxi, Q. (2025). Drama in Museums: Redefining Museums as an Interdisciplinary Educational Space.

international council of museums, (2024), International Museum Day, <https://www.janm.org/events/2024-05-18/international->

Manana Darchashvili

Museum as an Educational Space (Georgian Reality)

Summary

At the modern stage, the role of museums in preserving cultural heritage, its impact on socio-economic values and education in society, is recognized. Accordingly, the entire range of materials discussed in the paper makes it clear that in the modern progressive world, museums are increasingly perceived not only as repositories of cultural heritage, but also as educational spaces that, along with the development of creative skills, history, and cultural awareness, contribute to the development of critical thinking.

In the modern world, the intensification of discussions on this issue naturally led to a broad discussion in Georgia, especially in Georgian reality, during the period of the First Republic of Georgia, and even before that, the issue had repeatedly become the subject of judgment. Accordingly, the study/analysis of museums as educational spaces, both in terms of international experience and the current situation at the local level, is a necessary and topical issue.

International experience shows that museums successfully use interactive methods, digital technologies and a number of programs for different ages and social groups, and this process also makes the museum an open educational environment where learning is connected with experience, dialogue and cultural diversity. Accordingly, studying the topic we have chosen for our research is important both for understanding modern approaches to education, as well as for discussing Georgian museum practice in an international context.